სოციალური მუშაკის როლი სამშობიარო კლინიკებში

სტუდენტი: სალომე ჭონიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წერების შესაბამისად.

სალომე ჭონიშვილი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი მოიცავს სამშობიარო კლინიკებში სოციალური მუშაკის როლს და დღესდღეობით საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციას. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო წყაროები, რომლის მიხედვითაც მტკიცდება სამშობიარო კლინიკებში სოციალური მუშაკის საჭიროება და ასევე განხილულია საქართველოს კანონმდებლობა და მისი აღსრულების ნაწილი.

კვლევამ უპასუხა სამ მთავარ შეკითხვას:

- რას გულისხმობს სოციალური მუშაობა სამშობიარო კლინიკაში;
- რამდენად ხედავს კლინიკა სოციალური მუშაკის დასაქმების საჭიროებას;
- სამშობიარო კლინიკებისთვის სოციალური მუშაობის მომსახურების არ არსებობა რამდენად წარმოადგენს გამოწვევას.

კვლევამ დაამტკიცა შემდეგი ჰიპოთეზა: სამშობიარო კლინიკებში სოციალური მუშაკის მუშაობა უნდა იყოს სისტემური, იგი უნდა წარმოადგენდეს მულტიდისციპლინური გუნდის ნაწილს და მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს არა მარო არასრულწლოვანი მშობიარე დედებისა და ბავშვის მიტოვების საკითხებთან დაკავშირებით, არამედ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დედის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და პრევენციულად მუშაობას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა აღზრდის სტილი და პოზიტიური მშობლობა.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევების საფუძველზე გამოვლინდა მთავარი მიგნება: სამშობიარო კლინიკები ვერ იაზრებენ სოციალური სამუშაოს არსსა და კლინიკაში სოციალური მუშაკის მუშაობის მნიშვნელობასა და საჭიროებას, რაც აისახება

სოციალური მუშაკის საქმიანობის ლიმიტირებასა და სამუშაოს შესრულების ხარისხზე.

Abstract

This work includes information about the role of social workers in maternity clinics and the current situation in Georgia. The paper discusses international sources, according to which the need for a social worker in maternity clinics is confirmed, and also discusses the Georgian legislation and part of its implementation.

The study answered three main questions:

• What does social work mean in a maternity clinic;

• To what extent the clinic sees the need to employ a social worker;

• Non-existence of social work services for maternity clinics is a challenge.

The research proved the following hypothesis: the work of a social worker in maternity clinics should be systematic, it should be part of a multidisciplinary team, and the work should be carried out not only in relation to the issues of underage mothers and child abandonment, but special attention should be paid to the psycho-emotional state of the mother and preventive work on such issues , such as parenting style and positive parenting.

Based on the studies presented in the paper, the main conclusion was revealed: maternity clinics do not understand the essence of social work and the importance and need of the social worker's work in the clinic, which affects the limitation of the social worker's activities and the quality of work performance.

მადლობა

ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული შრომის, გაცემული უკუკავშირებისა და გამოხატული მხარდაჭერის საფუძველზე, მადლობას ვუცხადებ პროფესორ - შორენა საძაგლიშვილს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ნაშრომის აღნიშნული სახით წარდგენასა და მის შინაარსობრივ სრულყოფასთან დაკავშირებით.

ასევე მადლობას ვუხდი კახეთის, თელავის რაიონში არსებულ სამშობიარო კლინიკას „სიხარული“, ქ. თბილისში არსებული შპს დავით დავარაშვილის კლინიკას; შპს „პირველი სამედიცინო ცენტრს“; სს „ჩაჩავას კლინიკას“; „გაგუას კლინიკას“ და კლინიკა „ჰერას“ და ასევე მათ პერსონალს, რომლებმაც მიუხედავად არსებული ბარიერებისა და გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა, თანხმობა განმიცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე და მომაწოდეს სამაგისტრო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.